დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132.132222304**

თარიღი:**18/08/2022**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო სამდივნოს შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცდა „დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესი“, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც აუცილებელია შეიქმნას პროგრამის საკოორდინაციო სამდივნო.

დასახელებული წესის მე-5 მუხლის მიხედვით პროგრამის საკოორდინაციო სამდივნო წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც იქმნება მერის ბრძანების საფუძველზე, პროგრამის კოორდინაციის, კონკურსის ორგანიზების, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

სამდივნოს შემადგენლობაში სავალდებულოდ და თანამდებობრივად შედიან: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელი; საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წარმომადგენელი; საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯომარე; მერის მოადგილე; მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური; მერიის იურიდიული განყოფილების წარმომადგენელი; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელი; ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელი; მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი. ამასთანავე, მერი უზრუნველყოფს სამდივნოში, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დასაქმების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო/ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელების და თემატური ექსპერტების მონაწილოებას, მათი მიმართვის საფუძველზე. სამდივნოს საქმიანობას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს მერის მოადგილე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეიქმნას დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვასილ წიკლაური, მერის პირველი მოადგილე - სამდივნოს თავმჯდომარე;

ბ) ზურაბ ყაჭიური, ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სამდივნოს წევრი;

გ) ელნარ ჩოხელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - სამდივნოს წევრი;

დ) თამარ კავთელიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი - სამდივნოს წევრი;

ე) ანნა ძავაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში - სამდივნოს წევრი;

ვ) მარიამ ზაქაიძე, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი - სამდივნოს წევრი;

ზ) ნინო ხეხელაშვილი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - სამდივნოს წევრი;

თ) ლევან მწითური, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამდივნოს წევრი;

ი) ალექსანდრე ბუჩუკური, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე - სამდივნოს წევრი;

კ) გვანცა ესტატიშვილი, დუშეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - სამდივნოს წევრი;

ლ) ხატია პირმისაშვილი, მერის თანაშემწე - სამდივნოს წევრი.

2. ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის;

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი